სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080136890380119

№ 1330 06 / მარტი / 2019 წ.

სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 1 მარტს (19:32 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ SMP190001351 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, 2019 წლის 1 მარტს შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა ავტომანქანების სადაზღვევო მომსახურების (CPV66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები) გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით - 2013,61 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ 2019 წლის ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურებაზე ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან, თუმცა გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები (CON180000106, CON180000107, CON180000108, CON180000109) დასრულდა უშედეგოდ. აღნიშნული გარემოებისა და სადაზღვეო მომსახურების უწყვეტად მიღების საჭიროების გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ავტომობილების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში, ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურების არარსებობის პირობებში, ავტომანქანების დაზიანებისას შემსყიდველ ორგანიზაციას მიადგებოდა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ 2019 წლის ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურებაზე ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან, თუმცა გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები (CON180000106, CON180000107, CON180000108, CON180000109) დასრულდა

უშედეგოდ. აღნიშნული გარემოებისა და სადაზღვეო მომსახურების უწყვეტად მიღების საჭიროების გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ავტომობილების სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში, ავტოტრანსპორტის დაზღვევის მომსახურების არარსებობის პირობებში, ავტომანქანების დაზიანებისას შემსყიდველ ორგანიზაციას მიადგებოდა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე